

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 დეკემბერი, 2021

№230 (8759)

ფასი: 60 თეთრი


„ყველაფერი გოგონას გამო ჩხუბით დაიწყო“

სანზონაში 15 წლის
დავით კრავეიშვილი
მოკლეს



გვ.5

„ქართული ოცნება“ წააგებს ნებისმიერი მოღალით გაპარულ არჩევნებს



შოთა მალაშია:
„ხალხი პასუხს
გასცემს იმ
ოპოზიციურ
პარტიებს,
რომლებიც
სიმართლეს
თვალს უხუჭავენ“



გვ.4

„ქართველბო, ოქროს ფონდს ოლიგარქმა თვალი დაადგა!“

თაკო ჩარკვიანი:
„წულუკიანს ვუპასუხე:
დიახ, მკვლელს მკვლელი
ჰქვია და ადამიანების
დამხვრეტს, დამხვრეტი-
მეთქი – ტყვია მიზანში
მოვარტყი“



გვ.2

„სააკაშვილი არავის ესოდება და არავის ანადვლებს“



გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი:
„ორი ძალა დაეტაკა ერთმანეთს,
„ქართული ოცნება“, რომელიც
ხალხს არ ახარებს და
ნაციონალური მოძრაობა,
რომელიც ხალხს ამწარებს“

„სააკაშვილს პრეზიდენტის შესაფარისად ემსახურებიან“

მამუკა ტუსკაძე: „სააკაშვილი
ეზოთერიკით გატაცებული ადამიანია.
ფიქრობს, რომ დღეს ის განწმენდის
პროცედურას გადის“



გვ.4



გვ.3

ლევან ალაფიშვილი:
„ქართული ოცნება“
შეეცდება გაზაფხულისთვის
მოვლენები ახალი
პოლიტიკური
მიმართულებით
განავითაროს“

„ყველა ერთად გადავიჩვენებით, ასე გაბრძობება შეუძლებელია“

„ოცნების“ ზონდარი
ფარნა მახოსაშვილი
სოლის სემინარის დააქვეს



გვ.4



გვ.2

ირაკლი
ღარიბაშვილი:
„სოსილური
რეაბილიტაციის და
ბავშვთა ზრუნვის
პროგრამის
ბიუჯეტი მუდმივად
იზრდება“



2 სუსმა გე-4
საპენსიონო სისტემის
დირექტორი და
სახელმწიფო აქტივი
დააქვეს

6 ომიკრონის
ვაქსინის
შექმენას
3-6 თვე
დასჭირდება

5 მარტოფორი მამაკაცთა სოლი
დაჭრა, შედეგად კი თავი
მოიკლა — ბათუმში
ინფარქტით კაბინილი
თურქეთის 5 მოქალაქე დააქვეს

6 რუსეთმა
უკრაინის
საზღვართან
175.000
ჯარისკაცი
განაწილა



„სააკაშვილი არაჰის ესოდება და არაჰის ანაღვლას“

პაატა ზაქარეიშვილი: „ორი ძალა დაეტაკა ერთმანეთს, „ქართული ოცნება“, რომელიც ხალხს არ ახარებს და ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ხალხს ამნარებს“



ნამდვილად, გარანტირებულად არაფერი არ შეიცვლება და 2024 წლიდან შეიძლება შეიცვალოს და შეიძლება ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტ კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს? სააკაშვილის სასამართლო პროცესები მეტად აქტუალურია, ამდენი აქცია, პროტესტი, თუმცა არის საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ორივემ ერთად ქოცებმაც და ნაცვებამც, ქვეყანა ამ მარაზმს გადააყოფოს. უამრავი პროცესი რჩება ჩვენს მიღმა, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ხელისუფლება კი ცდილობს, ჩვენი ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანოს. როგორია თქვენი შეფასებები და ქვეყნის გარედან დანახული სიტუაცია? სად ვართ და რა გვინდა?

– მართლაც ძალიან დიდ მარაზმს დაემსგავსა ყველაფერი ეს. მეც ჩემს თავს მივაკუთვნებ საზოგადოების იმ ნაწილს, რომლისთვისაც მიუღებელია ეს სამარცხვინო წუნაობა „ქართული ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას, სადაც სააკაშვილის გარდა, თუმა არაფერი არ არის. არანაირი სიღარიბესთან ბრძოლა, არანაირი ეკონომიკური წინსვლა, არანაირი კოვიდთან ბრძოლა, არაფერი სხვა, გარდა იმისა, რომ რას იტყვის სააკაშვილი, რა უღირსია „ქართული ოცნება“ და რა უღირსია ნაციონალური მოძრაობა. ეს ძალიან შემამშფოთებელია. მქონდა სერიოზული შეხვედრები ევროპაში, საკმაოდ სერიოზულ დიპლომატებთან და თამამად შემიძლია გითხრა, რომ ყველა გაოგნებული და გულგატეხილია იმით, რაც ხდება საქართველოში. რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ პასუხისმგებლობა არის ხელისუფლებაზე, მაგრამ ოპოზიციისთვის ვერაფერი ხდება გამოსავალს და ეს არის ნამდვილად ჩხუბი სიტუაცია.

– რამდენ ხანს გაგრძელდება ასე?

– როგორც ჩანს, ეს ჩხუბი სიტუაცია გაგრძელდება 2024 წლამდე, რადგან არავინ არ არის საქართველოში, არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დააჯერებს საზოგადოებას, რომ ვადაძლეა არჩევნებში შეიძლება სიტუაცია გამოსწორდეს. ამას ვერ იზამს ვერაფერი. რომც ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, შედეგი იქნება დაახლოებით იგივე, წუნაობა გაგრძელდება, გაგრძელდება ეს დაცინვა, წინასწარჩვენო კამპანიის აღვირახსნილი სიძულელი, ცინიზმი და უტიფრობა. ძირითადად ორი ძალიდან, ნაციონალური მოძრაობიდან და „ქართული ოცნებიდან“. მესამე

ძალა კი აღარ ჩანს, ჩაიკარგა მათ ფონზე. თუმცა საკმაოდ საინტერესო პროცესი მიდის საკრებულოებში, რომელსაც ვერაფერი ვერ ხედავს. სადაც გაიყო ხმები, იქ დემოკრატიის ნიშნებია.

– საკრებულოს თავმჯდომარეების არჩევის პროცესი გაჭირდა, ვერ ირჩევენ თავმჯდომარეებს.

– ვერ ირჩევენ იმიტომ, რომ წამყვანი პოლიტიკური ძალები ჯიუტობენ და ექაჩებიან ერთმანეთს, ვინ გაიმარჯვებს, იმის ნაცვლად, რომ ითანამშრომლონ. საჭიროა დემოკრატიული პროცესის დაწყება, მათ შორის, დიპლომატის ფორმით. სამწუხაროდ, ეს მომენტი არანაირად არ ჩანს ქართულ საზოგადოებაში. ეს არის ხელოვნური კრიზისი, რომელიც აწყობს „ქართული ოცნებას“ იმისათვის, რომ არაფერი არ აკეთოს და ყველაფერი დააბრალოს ნაციონალურ მოძრაობას, ამიტომ ეს ხელოვნური კრიზისი გაგრძელდება 2024 წლამდე. სამწუხაროდ, ეს რეალობაა.

– ერთი და იგივე კინოს ვუყურებთ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

– დიახ, ასეა და საზოგადოება ამით ძალიან დაიღალა და დანებდა. მე საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდი. საბჭოთა კავშირი იყო ცალკე და ჩვენ, ხალხი ვიყავით ცალკე. აბსოლუტურად გაყოფილი იყო სახელმწიფო ხალხისაგან. დაახლოებით ამ ჩიხში შეჰყავს დღეს „ქართული ოცნებას“ საქართველო, რომ სახელმწიფო იქნება ცალკე, სადაც გამოდებები იქნება ნაციონალურ მოძრაობასთან პაუერობა და დანარჩენი მოსახლეობა იქნება ცალკე. გადარჩენაზე მოფიქრალი ხალხი, რომელიც შეჰყურებს უცხოეთში ნასულ ნათესავებს, როდის გამოუგზავნიან ფულს და ასე გაათირონ დღეები. აი ეს არის ის, რაც მოგვიტანა „ქართულმა ოცნებამ“.

– 2024 წელი ამბობთ და რამდენად შეიცვლება სიტუაცია? პარლამენტში, მუშაობის ნაცვლად, ურთიერთდაპირისპირებასა და ლანძღვა-გინებაზე გადასული. თუა წულუკიანის გამოსვლას დიდი კრიტიკა მოჰყვა საზოგადოებაში.

– თუა წულუკიანის კარგი იუმორი ჰქონდა ზოგადად. რადგან ეს იუმორი გადაიზარდა ცინიზმში, ეს რა თქმა უნდა, შემამშფოთებელია. თუა წულუკიანი აჩვენებს კარგად, თუ რამდენად არსებობს მენტალური კრიზისი „ქართული ოცნებაში“. თუა წულუკიანს ლაღი და ალაღი იუმორი ჰქონდა, როცა წარმატებული და წელგამართული იყო. დღეს ის, ლანძღვა და სააკაშვილის მომხრეებს, ზუსტად იმ სიტყვებით, რითაც სააკაშვილი მომხრეები თავის დროზე ლანძღვდნენ ოპოზიციას, რითაი მათზე უკეთესია? ამით ემსგავსება სააკაშვილის ფრთას. ეს უკვე კრიზისზე მეტყველებს. შეგნით, „ქართული ოცნებაში“, ასე ეტყვათ, ჟანრის კრიზისი აქვთ. ისინი ვერ

ვითარდებიან, ვერ გამოდიან მოჯადოებული წრიდან და ამ ცინიზმით ავლენენ, რამდენად ამოწმურათ თუნდაც იუმორის რესურსები. როცა ადამიანი კარგავს იუმორის გრძობას, ე.ი. მას სერიოზული პრობლემები აქვს. როდესაც ის პარტიის სახეა, მაშინ პარტიას აქვს სერიოზული პრობლემები. თუა წულუკიანის ასეთი სახეცვლილება ძალიან თვალშისაცემი და საწყინია. ხალხი საბჭოთა კავშირიდან შეჩვეულია ასეთ ცხოვრებას, ცალკე თვითონაა და ცალკე სახელმწიფო. ამიტომ მოქალაქეები ცდილობენ, თავი გადაირჩიონ სახელმწიფოს გარეშე. შეგვჩნა ხელში ორი პოლიტიკური ძალა, ერთია „ქართული ოცნება“, რომელიც ხალხს არ ახარებს და ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ხალხს ამნარებს. ანუ განმანარებელი და არაგამანარებელი ძალები. უნდა აირჩიო, რომელი პარტია გინდა, რომელიც გაგამანარებს თუ რომელიც არ გაგახარებს.

– რაც დრო გადის, საზოგადოებას სულ უფრო უღრმდება ეჭვი, რომ ეს ორი ძალა შეთანხმებით მოქმედებო. სააკაშვილის ციხეში ჩაჯდომაც „ოცნების“ ინტერესებს მოერგო. მეტი არაფერი ხდება ქვეყანაში, მხოლოდ ამ საკითხებს განვიხილავთ. როდემდე გაგრძელდება ასე და რით დასრულდება ეს ყველაფერი?

– როგორც ჩანს, უკრაინასაც არ აინტერესებს სააკაშვილი. პირდაპირ უცნაურია ეს ყველაფერი. გარდა სააკაშვილის ახალი და მორიგი სიყვარულისა, სხვა არავინ ზრუნავს მიშაზე. უკრაინის საერთოდ არ კითხულობს მის ბედს. ჰკითხეთ უკრაინის ელჩს თუ რატომ არ მიჰყავთ სააკაშვილი, რატომ არ აყენებთ ამ საკითხს?! სააკაშვილი არაფერს ეცოდება და არავის ანაღვლებს. პირველ რიგში იყენებს ნაციონალური მოძრაობა, მეორე რიგში იყენებს „ქართული ოცნება“ და სააკაშვილს ასე, ექით-იქით აბურთავებენ. სადამდე გაგრძელდება? უნდა დასრულდეს ეს სასამართლოები და წესით, მერე უკრაინამ უნდა მოითხოვოს. თუ არ მოითხოვს, მაშინ სააკაშვილი იჯდება ციხეში, „ქართული ოცნება“ არ გამოუშვებს მისს ციხიდან. ხელისუფლება აშკარად წელავს დროს, პირველ რიგში, ზამთარი შემოვიდეს კარგად, ხალხი დაიღალოს და სააკაშვილს შერჩეს მხარდაჭერების მხრობა 500-600 კაცი, რომლებიც ვერ გაიგებენ, სად იარონ, ცინესთან თუ ივანიშვილის რომელიმე სახლთან. ისიც კი არ იცანა, ივანიშვილი რომელი სახლში იყოფება. „ოცნება“ ამ ყველაფრით კმაყოფილია, 2024 წლამდე არჩევნები არ უნებს. სწორედ ამიტომ მგონია, რომ არაფერი არ შეიცვლება. დღეს საზოგადოება ვერ ხედავს, რის გამო გამოვიდეს ქუჩაში, ან რის გამო მოითხოვოს ვადამდელი არჩევნები, როცა დარწმუნებულია, რომ შედეგი იქნება იგივე, რაც ახლაა. 2024 წლამდე

ნამდვილად, გარანტირებულად არაფერი არ შეიცვლება და 2024 წლიდან შეიძლება შეიცვალოს და შეიძლება ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

– ბატონო პაატა, როდესაც საუბრობთ, „ოცნებაში“ სერიოზული კრიზისია და ეს ეტყობა პარტიასო, ბოლო პერიოდი ვისმენთ ახალ-ახალი ნიციბულებს პრემიერ-მინისტრისგან. ეს განცხადებები კეთდება თავის გადასარჩენად თუ რეალურად უყურებთ იგივე კაზინოებთან დაკავშირებით დაანონსებულ საკითხებს?

– არა მგონია რეალური იყოს. ხელისუფლების მთავარი ამოცანა იყო არჩევნებში გამარჯვება, მათ გაიმარჯვეს, ამიტომ ახლა მიმდინარეობს საზოგადოების დაკმაყოფილება რაღაც გარკვეული ძვლების გადაცდებით. იმიტომ, რომ ელექტრონულ კაზინოებს არაფერი არ ეშველება. ეს არის გამოირეცხული. ადამიანმა, რომელმაც უკვე ისწავლა ონლაინ კაზინოს ლაბირინთები და ძროშიალი, სადაც ხარჯავს და ანაღვრებს თავის ქონებას, ის სხვა გზას მოძებნის, სხვა საიტებზე გადავა. ბოლოს და ბოლოს, ჩემს ბავშვობაში კოჭებს აგორებდნენ სადარბაზოში და ნარკოტიკებს სადარბაზოებში იკეთებდნენ. ისევე ჯობია კონტროლირებადი იყოს, ვიდრე იატაკქვეშეთში წავიდეს ეს ყველაფერი. მე ამაში ვერ ვხედავ გამოსავალს, ეს პრობლემა აკრძალვით ვერ მოგვარდება.

– აბა როგორ მოგვარდება?

– ეს საკითხი მოგვარდება მხოლოდ და მხოლოდ სიღარიბესთან ბრძოლით. კაზინოში გარბიან იმიტომ, რომ ღარიბები არიან. კაზინოები არსებობს იმიტომ, რომ ხალხს ფული უნდა. კაზინოები პასუხობს საზოგადოებში არსებულ სიღარიბეს. სიღარიბეს უნდა ებრძოდოს სახელმწიფო და არა კაზინოებს. კაზინოები თავისთავად გაიწვევს თუ სამეშაო ადგილები იქნება. დასაქმების პროექტები უნდა წარმოადგინოს პრემიერ-მინისტრმა და არა შეუძლებელი პროექტების განხორციელებაზე ილაპარაკოს. ონლაინ კაზინოებს ვერაფერი ვერ დახსურავს, ზღაპარია, აბსურდულია ეს. ეს ხალხისთვის თავისუფალი წყარა იყო. კაზინოების ნიღბი იყო სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან, რა, თავის ბიზნესებს დახსურავენ?! ეს აბსურდია.



კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილაყვა

– ბატონო ლევან, როგორი მოლოდინი გაქვთ, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს? ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილს უახლოეს დღეებში რუსთავის საპატიმროში დააბრუნებენ. შეიძლება სააკაშვილიც შეეფუოს ბედს და ოპოზიციაც?

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ზეპვივით განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, დაკავებებმა, შემდეგ განთავისუფლებებმა, სააკაშვილის ჩამოსვლამ, ახლა სასამართლო პროცესებმა, ევროკავშირის ჩართულობამ, შემდეგ ხელისუფლების მიერ თავის შერცხვენამ, არასახელმწიფოებრივმა მიერ თავის შერცხვენამ პარტიორების მიმართ, ყველაფერმა ერთად ისეთი პროცესები წარმოიქმნა, რომ ერთიანად მოაშვივლა ქართული პოლიტიკური რეალობა. ამ ყველაფერმა ყველა ერთად დააზარალა. რაც მთავარია, დააზარალა სახელმწიფო.

შედეგის თვალსაზრისით ამ ყველაფერს უმძიმეს შედეგებამდე მივყავართ. მე ძალიან მამშფოთებს ჩვენი დასავლელი პარტნიორებისადმი „ქართული ოცნების“ ისეთი დამოკიდებულება, როგორც აქვთ. ეს მხოლოდ ცუდს უქადის სახელმწიფოს. აქედან ერთადერთი, ვინც შეიძლება გამარჯვებული გამოვიდეს, მხოლოდ ჩვენი ჩრდილოეთი მეზობელია. არ გამოვირცხავ, რომ ამით უტიფრობის რეჟიმმა სერიოზულად ისარგებლოს. იმედია, საახალწლო პოლიტიკური პაუზა თავის საქმეს გააკეთებს და ოდნავ მაინც დამცხრალი ემოციებით

„ყველა ერთად გადავირჩეხებით, ასე გაბრძობა შეუძლებელია“

ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნება“ შეეცდება გაზაფხულისთვის მოვლენები ახალი პოლიტიკური მიმართულებით განავითაროს“

დაინწყება ახალი ეტაპი.

– რა შეიძლება ახალი ეტაპი იყოს?

– კონსენსუსი. გაცნობიერება იმის, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია, რომ ყველა ერთად გადავირჩეხებით. ერთადერთი გამოსავალი მოლაპარაკებაა. პოლიტიკური კონკრეტისა, დემოკრატიული პროცესის როგორმე დაბრუნება.

– საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელზეც არსებობს შეთანხმება, რამდენად მიიღებს „ქართული ოცნება“?

– საკონსტიტუციო ცვლილებებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება დაფიქრდება, რომ ეს არის უკანასკნელი შესაძლებლობა საკუთარი მომავლის შენარჩუნების. კონსტიტუციური ცვლილებები იქნება ის ბოლო საკითხი, რომლითაც „ქართული ოცნება“ ან საბოლოოდ გაემიჯნება დემოკრატიულ პროცესს, ან როგორმე შეეგუება, რომ ცვლილებები გარდაუვალია. მერნმუნეთ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეცსამსახურები, თუ ერთ მხარეს აღმოჩნდება მთელი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოება, დასავლეთი, ხალხი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ვერაფერი ვერაფერს გახდება. ამ მოცემულობაში რუსეთის იმედიც რომ ჰქონდეთ, დაუშვავთ, მთლად უტიფრობის იმედიც რომ ჰქონდეთ, ეს იქნება განწირული ბრძოლა. ამ ბრძოლაში „ქართული ოცნება“ დამარცხდება.

– რატომ? თუ აქამდე არ დაბრუნდება?

– მაშინ მათ უნდა ღიად თქვან და აღიარონ, რომ 90-იანებში დაბრუნდით. მივდივართ იმ გზით, რომელიც საქართველომ ერთხელ უკვე გაიარა. არ მგონია, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს უნდოდეთ კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ იმ საქართველოში. იმ საქართველოში, როდესაც ტყეა გავარდა და ომი დაიწყო. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმძიმესი ნაწილია და არ მგონია, იქ მოინდომონ ქართველებმა, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ. ამჯერად გასრულა ასე ადვილად

აღარ დასრულდება. ძალიან მძიმე შედეგების მატარებელი იქნება თითოეული მათგანისთვის. იმედი მაქვს, ამას ყველა აცნობიერებს.

– კონკრეტული კითხვა მაქვს. 2% საარჩევნო ბარიერი არ აწყობს არც „ქართული ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელთა წევრებია სწორედ საჭირო ამ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. მიუხედავად ამისა, შეიძლება ეს ცვლილება მოხდეს?

– და მაშინ რას გულისხმობს პოლიტიკური შეთანხმება?! ჩვენი პარტიული სისტემა შორს არის დემოკრატიული განვითარებისგან. ბიუროკრატიას მივბრუნებ სისტემას. პარტია, რომელიც იმარჯვებს, ხელისუფლება შეეზრდება ხოლმე და იმით საზრდოობს, სანამ ხელისუფლებაშია.

– და თუ მერეც უნდა არსებობა, გონივრულია დღეს იზრუნონ ამაზე?

– რასაკვირველია. თუ არადა, „მოქალაქეთა კავშირის“ მაგალითი შორეული არსული სულაც არ არის. ისე აორთქლდა, რომ არავის ახსოვს.

– გამოდის, გაზაფხულამდე გადაინია პროცესებმა?

– თუკი ვინმეს შეიძლება გაზაფხულის ძალიან მძიმე, შინარევი მოლოდინი ჰქონდეს, ეს, პირველ რიგში, „ქართული ოცნება“ა. აქ არ გულისხმობს პოლიტიკას, ოპოზიციას. პირველ რიგში სოციალურ სიდუხჭირეს გულისხმობს. ფასების რეკორდული მატება ყველა მიმართულებით, ელექტროენერჯის, გაზის გაზრდილი გადასახადები ზამთრის თვეების გათვალისწინებით, ადამიანების სამართლიან სოციალური უკმაყოფილებას გამოიწვევს. ხელისუფლების მიერ ათი წლის მანძილზე წარმოებულმა ეკონომიკურმა თუ სოციალურმა პოლიტიკამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. ბოლოს და ბოლოს, ეს დაგროვილი ემოცია ამოხეთქავს. ამიტომ, არ გამოვირცხავ, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება გაზაფხულისთვის მოვლენები ახალი პოლიტიკური მიმართულებით განავითაროს, რომ როგორმე შეაჩეროს ადამიანების უკმაყოფილება.

გორში ავარიის თიოზა მამასაშვილი ემსხვერპლა



3 დეკემბერს გორში, სტალინის გამზირზე ავარია მოხდა. ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

გარდაცვლილი მიმოზა მამაცაშვილია, რომელიც თანმშობელ პირთან ერთად ქვეითად მოძრაობდა.

თვითმხილველების თქმით, მათ მაღალი სიჩქარით მოძრაობდა მერსედესის მარკის ავტომობილი შეეჯახა და ერთი მათგანი ადგილზე დაიღუპა, მეორე კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკაში გადაიყვანა.

მიმოზა მამაცაშვილი წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ქალთა ორგანიზაციებში, წარმომადგენელად სამედიცინო ორგანიზაციისა – ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის.

„ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ 2008 წელს დაფუძნდა. მისი დამაარებლები იყვნენ მანანა მეტუე და ცხინვალელი ლირა კოზავეი-ცხოვრებოვა. ქართველი და ოსი ქალები ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნებში ხვდებოდნენ. პირველი ასეთი შეხვედრა 2008 წლის ომიდან სულ მალე ბაქოში გამართეს და გეგმიც დასახეს. ცოტა ხანში, ორგანიზაციამ ცხინვალში არსებობა შეწყვიტა პოლიტიკური ვითარების გამო. საქართველოში მას სახელწოდება შეეცვალა.

სწორედ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო მიმოზა მამაცაშვილი.

პოლიციამ განაცხადა, რომ ის პირველად დადგინდა, ვინც ავტომანქანას მართავდა.



„ყველაფერი გოგონას გამო ჩხუბით დაიწყო“

სანზონაში 15 წლის დავით კრავეიშვილი მოკლეს

4 დეკემბერს თბილისში, სანზონაში 17 წლის ბიჭი მოკლეს.

არასრულწლოვნის მკვლელობას კონფლიქტი უძლოდა წინ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაიწყო.

ერთ-ერთი ვერსიით, დაპირისპირება მოზარდებს შორის გოგონას გამო დაიწყო.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, დავით კრავეიშვილის მკვლელებს მალაზიაში მოზარდის დედის ვალი ჰქონდათ.

დაპირისპირებაში 10-მდე მოზარდი მონაწილეობდა. არსებული ინფორმაციით, ისინი ნახალოვკის სამოს წვერები იყვნენ.

შემთხვევა ლიხვის ქუჩის მიმდებარე მოხდა, შემთხვევის ადგილას დათო კრავეიშვილის დედა მუშაობდა და მოზარდი მასთან იყო მისული.

როგორც ღრმადელის დასახლების ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრებმა მკაც კობრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მან ხმაური გაიგონა, რის შემდეგაც ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ ბევრი ბავშვი მირბოდა.

– ზემოდან ბავშვებმა ჩამოირბინეს, რადგან ბიჭების ხმა იყო, ფანჯარასთან მივედი, მინიმუმ 10-15 ბავშვი იყო და სადაც დაჭრილი ბავშვი იყო, იქ მიირბინეს. ერთი ყვიროდა – სისხლისგან დაიცვალაო. ჩხუბი აქ არ მომხდარა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სხვაგან მოხდა და აქ ჩამოირბინეს. არც ერთი ნაცნობი არ იყო, ამ უბნის ბავშვები არ იყვნენ. ნაქცევული ბავშვი წელს ზემოთ შიშველი იყო, ალბათ ჭრილობას დახვდეს. სასწრაფო და პოლიცია მალე მოვიდა, მაგრამ სანაპიროსა და სანსრაფო მოვიდოდა, მეზობელმა ჯიპში ჩაისვა და პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში წაიყვანა, – განაცხადა კობრაძემ.

– დათო და დედამისი გორიდან არიან ჩამოსულები და სანზონაში, ლიხვის ქუჩაზე ქირით ცხოვრობდნენ. დედას იქვე მალაზია ჰქონდა და მკვლელობამდე მოზარდი მასთან იმყოფებოდა. მასთან 10-მდე ახალგაზრდა მისულა, დათო მალაზიიდან გამოუყვანიათ და 207-ე სკოლის მახლობლად საქმის გარჩევა დაუსწყიათ, – ყვება გარდაცვლილის მეზობელი.

დავით კრავეიშვილს ერთ-ერთი ჭრილობა გულის არეში ჰქონდა მიყენებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის



სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურმა დირექტორმა ლალი ტურქელაძემ განუცხადა, არასრულწლოვანს კლინიკაში შეყვანილს გული გაჩერებული ჰქონდა, თუმცა, ექიმებმა რენანიმატოლოგიური დახმარება გულის ასამუშავებლად ჩაუტარეს.

– სახლში ვიყავი, თუმცა, საქმის კურსში ვარ, უცხო პირებმა მიიყვანეს ბავშვი, გული გაჩერებული ჰქონდა. ექიმებმა მინც ჩატარეს გულ-ფილტვის რენანიმაცია, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ექიმები-რენანიმატოლოგები ეცადნენ, გულის მუშაობა აღედგინათ, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა. როგორც ჩვენმა ექიმმა მითხრა, ჭრილობა გულის არეში ჰქონდა, დანარჩენს ექსპერტიზა გაარკვევს, – განაცხადა ლალი ტურქელაძემ.

მკვლელობის საქმეზე პოლიციამ ორი პირი დააკავა.

ორივე პირი არასრულწლოვანია. 2005 წელს დაბადებული პირი განზრახ მკვლელობის ბრალდებით არის დაკავებული, ხოლო 2004 წელს დაბადებული მოზარდი დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ლ.ი., წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 2004 წელს დაბადებული პ.ვ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.ი.-მ მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2006 წელს

დაბადებულ დ.კ.-ს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ლ.ი.-სთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიშალა მეორე ბრალდებული პ.ვ., რომელიც შეესწრო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს და არ შეატყობინა სამართალდამცვე უწყებებს.

მიყენებული დანაშაულის შედეგად დ.კ. საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირები მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

მკვლელობისთვის დაკავებული პირი ბრალს არ აღიარებს. ამის შესახებ დაკავებულის ადვოკატმა გოგა გოგბერიძემ განაცხადა.

მისი თქმით, დაკავებული არასრულწლოვანი ბრალის ოფიციალურ წარდგენას ზაპის დროებითი მოთავსების იზოლატორში ელოდება.

– ბრალი ჯერჯერობით არ წარუდგინა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის. გამოკითხვა მოხდა მისი, არ აღიარებს დანაშაულს. იყენებს დუმილის უფლებას. მასალა დაგროვდა, ამ საუბრის შესახებ დეტალებზე ვერ გესაუბრებთ. ჯერ საქმე გადმოიყვანება და შემდეგ უკვე შემეძლება საუბარი ვრცელად დეტალებზე, – განაცხადა ადვოკატმა გოგბერიძემ.



პოლიციამ 2 პირი დააკავა

გათუვანი ინტერპოლით კახელი თურქეთის 5 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ინტერპოლის წითელი ცირკულარით თურქეთის რესპუბლიკის მიერ ძებნილი 5 პირი გათუვანი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

დაკავებულები არიან: 1977 წელს დაბადებული ო.გ., რომელსაც სხეულის დაზიანება და სეკსუალური ძალადობა ედება ბრალად. იგი სამართალდამცველების მიერ 2021 წლიდან იძებნებოდა.



1983 წელს დაბადებული ფ.დ., რომელიც ბრალდებულია სხეულის დაზიანების, იარაღის ტარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. იგი წითელი ცირკულარით 2020 წლიდან იყო ძებნილი.

1985 წელს დაბადებული ა.ე., რომელსაც თურქეთის ინტერპოლი ჯგუფურად ჩადენილი შეიარაღებული ძარცვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის 2021 წლიდან ეძებდა.

1988 წელს დაბადებული თ.ა., რომელიც თურქი სამართალდამცველების მიერ შეიარაღებული ძარცვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, წითელი ცირკულარით, 2019 წლიდან იძებნებოდა.

1971 წელს დაბადებული ბ.ი., რომელიც პროსტიტუციაში ჩართვის, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფისა და პროსტიტუციის წახალისებისათვის წითელი ცირკულარით 2017 წლიდან იყო ძებნილი.

უწყების ინფორმაციით, ამჟამად დაკავებულებს მიმართ კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

მარტყოფი მამაკაცმა სოლი დაჭრა, შედეგ კი თავი მოიკლა

მარტყოფი, ოჯახური კონფლიქტის დროს მამაკაცმა მეუღლე ცივი იარაღით დაჭრა, შემდეგ კი ყელის არეში თვითდაზიანება მიიყენა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

გაუვრცელებული ინფორმაციით, პირს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ლაგოდეხი 19 წლის მ.მ.-მ თანასოფელის მოქალაქე სხად

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 2003 წელს დაბადებული მ.მ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ის ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, სოფელ ყარაჯალაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დაკავებულმა თანასოფელელს, 1988 წელს დაბადებულ ხ.ხ.-ს გულუვლადიანი სანადირო თოფიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

ხანძარი ნაქალაქეში

3 დეკემბერს ნაქალაქეში, საცხოვრებელ სახლში, ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი ე.წ. შევიდულ ჭერს გაუჩნდა. საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურში ამბობენ, რომ ცეცხლის ლოკალიზება მალე მოხერხდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

პოლიცია „აიპლუსის“ გაქურდვის ფაქტი გახსნა დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.მ. მალაზია „აიპლუსის“ გაქურდვის ბრალდებით თბილისში დააკავეს, ხოლო 2000 წელს დაბადებული თ.რ. ამავე დანაშაულშია მხილებული.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბერს მ.მ.-მ და თ.რ.-მ სპეციალური ხელსაწყოს მეშვეობით დაზიანეს ტექნიკის

მალაზია „აიპლუსის“ შესასვლელი, უკანონოდ შეაღწიეს სავაჭრო ობიექტში და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლნენ დაახლოებით 17.000 ლარის ღირებულების მობილურ ტელეფონებს.

ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა მ.მ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს. დანაშაულში მხილებული მეორე პირის – თ.რ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით გრძელდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები და დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. ქურდობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შსს-მ პოლიციაზე თავდასხმის ბრალდებით 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1974 წელს დაბადებული კ. ქ. პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მიმდინარე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერების მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე კ. ქ. თავს დაესხა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს და დროის ტარით თავის არეში ფიზიკური დაზიანება მიაყენა. გამოძიება სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს. ამავე დღეს, პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის და ძალადობის ბრალდებით 4 პირია დაკავებული.

თბილისში პოლიციის 2 ბინას სხსელი გაუჩნდა

გუშინ, 5 დეკემბერს, თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე, 2 ბინას ცეცხლი გაუჩნდა. 6 ნომერში მდებარე საცხოვრებელ სახლის მეორე სართულზე სავარაუდოდ მოკვლევული სადენები ააღდა. ადგილზე სახანძრო სამაშველო ბრიგადები მუშაობდნენ.

დამწვარია იტალიურ ეზოში მდებარე საცხოვრებელი სახლი. დაზარალებულია 6 ოჯახი. დამწვარია მათი კუთვნილი ავეჯი და ტექნიკა. მცხოვრებლები გამგეობისგან დახმარებას ითხოვენ.

პნატანა გომელაურმა საქართველოში ნაბონ სპეციალური ოფისის ხელმძღვანელთან გამოსაშვებოებაზე შეხვედრა გააპარა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, გამოსაშვებოებაზე შეხვედრა გამართა საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან – როზარია პუგლისთან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 5-წლიან მოღვაწეობას ასრულებს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე – პირიტ პიკერი და ახალდანიშნული სამხედრო მეკავშირე ოფიცერი – რუშენ აბიდილოღლუ.



ვახტანგ გომელაურმა როზარია პუგლისის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

